

მე-9 კლასი

ანალოგიები

1. ფაქტი:ვარაუდი
2. ა. ბარათი:წერილი    ბ. დამნაშავე:ექვმიტანილი    გ. ჰიპოთეზა:აქსიომა
3. იალქანი : ღუზა  
ა. საჭე : მუხრუჭი    ბ. ეკრანი-გამოსახულება    გ. შუბი - ასპარეზობა.
4. მსჯელობა : დასკვნა    ბრძოლა :  
ა. გამარჯვება    ბ. დამარცხება    გ. ომი

წინადადებების შევსება

5. იმისათვის რომ, ადამიანს \_\_\_\_\_ ეცვას, \_\_\_\_\_ იგი მდიდარი ოჯახიდან იყოს.  
ა. უგემოვნოდ/სულაც არაა აუცილებელი  
ბ. გემოვნებით/სულაც არაა აუცილებელი  
გ. გემოვნებით არ/აუცილებელია
6. \_\_\_\_\_, რომ ნიკო ცნობილი \_\_\_\_\_ იყო, იგი არანაკლები წარმატებით \_\_\_\_\_.  
ა. იმის გათვალისწინებით/პოეტი/წერდა ლექსებსაც  
ბ. გარდა იმისა/მათემატიკოსი/უკრავდა ფორტეპიანოზეც  
გ. იმის მიუხედავად/კომპოზიტორი/ქმნიდა მუსიკალურ ნაწარმოებებსაც
7. უცნაურია, მაგრამ \_\_\_\_\_, მით უფრო \_\_\_\_\_ მას მისი გაკეთების სურვილი.  
ა. რაც უფრო უშლიან ადამიანს რაიმე ქმედებას/უჩნდება  
ბ. რაც უფრო უშლიან ადამიანს რაიმე ქმედებას/უქრება  
გ. რაც ნაკლებად უშლიან ადამიანს რაიმე ქმედებას/უჩნდება

ლოგიკა

8. აკაკი, თორნიკე და თამაზი სიმაღლის მიხედვით დგანან და თეთრი, შავი და ლურჯი ქუდები ახურავთ. ცნობილია, რომ ყველაზე მაღალს არ ქვია თორნიკე და ახურავს თეთრი ქუდი. შუაში თამაზი დგას, ყველაზე დაბალს კი ახურავს შავი ქუდი. რა ფერის ქუდი ახურავს აკაკის?  
ა. შავი    ბ. თეთრი    გ. ლურჯი
9. არჩილი, ბაჩო, გიორგი და დიტო თამაშისთვის 2-2ად გაიყვნენ. თუკი ჩამოთვლილი სამი წინადადებიდან:  
I. არჩილი და ბაჩო ერთ გუნდში არიან  
II. არჩილი და გიორგი ერთ გუნდში არიან  
III. ბაჩო და დიტო ერთ გუნდში არიან  
მხოლოდ ერთია მცდარი. რომელია ის?  
ა. I    ბ. II    გ. III

10. მოცემულია დებულება: ყველა კუს შეუძლია სირბილი. რომელი დებულება გამომდინარეობს მოცემულიდან?

- ა. ყველაფერი, რაც დარბის, კუა
- ბ. თუ არსებებს სირბილი არ შეუძლია, ის კუ არაა
- გ. არსებობს კუ, რომელსაც არ შეუძლია სირბილი

მონაცემთა საკმარისობა

11. მოცემულია ორი პირობა:

I : წინოს 20-ზე მეტი თხილი აქვს, მაგრამ 30-ზე ნაკლები

II : წინოს თხილის რაოდენობა იყოფა 3-ზე

იმისათვის, რომ გავიგოთ რამდენი თხილი აქვს წინოს

ა. საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე II პირობა

ბ. II პირობა საკმარისია, I კი არა

გ. მოცემული პირობები არ არის საკმარისი

12. საბამ დახატა სამკუთხედი. მოცემულია ორი პირობა:

I : საბას სამკუთხედი ტოლფერდაა

II : საბას სამკუთხედი მართკუთხაა

იმისათვის, რომ გავიგოთ რას უდრის საბას სამკუთხედის უდიდესი კუთხე

ა. საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე II პირობა

ბ. II პირობა საკმარისია, I კი არა

გ. I პირობა საკმარისია, II კი არა

13. მოცემულია ორი პირობა:

I :  $a$  ლუწია

II :  $a$  იყოფა 5-ზე

იმისათვის, რომ გავიგოთ რა ციფრით ბოლოვდება  $a$

ა. საკმარისია ორივე პირობა ერთად, ცალ-ცალკე კი არც ერთი პირობა არ არის საკმარისი

ბ. II პირობა საკმარისია, I კი არა

გ. საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე II პირობა

მათემატიკური აზროვნება

14. რომელია მეტი? შემოხაზეთ ა თუ მეტია A, შემოხაზეთ ბ თუ მეტია B და შემოხაზეთ გ თუ

$$A=B$$

$$A = \frac{1}{3} + \frac{1}{5} + \frac{1}{7}$$

$$B = \frac{1}{4} + \frac{1}{5} + \frac{1}{6}$$

ა ბ გ

15. რამდენი გამყოფი აქვს 75-ს

ა. 4 ბ. 5 გ. 6

16. რამდენი წახნაგი აქვს სამკუთხა პირამიდას?

ა. 3 ბ. 4 გ. 5

